საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ოთხშაბათი, 27 ოქტომბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 78 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 78

«ჩვენ ბატონობის წინააღმდეგი ვართ, გვინდა მოვუსპოთ ერთი ერის გაბატონებულ კლასებს საშუალება დაიჯაბნოს მეორე ერი, ვიბრძვით ყველა ერის უფლებრივ თანასწორობისათვის და არა რომელსამე მათგანის პრივილეგიებისათვის. სწორედ ამისათვის და არა სხვა რამისათვის ვებრძვით ჩვენ ფედერალისტების სახელმწიფოებრივ პრინციპებს, რომელიც წინდაწინვე გულისხმობს «ბატონობას», «მპყრობელ და მორჩილ ერს» და სხვ.

ან-ჩინ (აკ. ჩხენკელი). „ერი და ჩვენ“

## სირცხვილია, ბ. ბ. მენშევიკებო!

წვრილმა ბურჟუაზიამ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს აბსოლიუტიზმ-ფეოდალიზმთან ერთად ძირბუდიანათ ამოაგდო არა მარტო კლერიკალიზმიც, არამედ მატყუარა ხუცების რელიგია და შორს გადისროლა. ხალხის სულის მომწამვლელ ხაშხაშით სპეკულიანტების საქმე ვერ გამოაკეთა რეაქციის დროს ნაპოლეონის მიერ რომის პაპასთან—ამ უდიდეს მატყუარასთან დადებულ კონკორდატმაც კი (გულითადი შეთანხმება). საფრანგეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკა მოსწყდა ეკლესიას. კომბის სამინისტრომ—ამ საფრანგეთის მსოფლიო მევახშეების აღმასრულებელმა კომიტეტმა ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის საქმე მოათავა ბერების კონგრეგაციების გარეკით, რომლებიც სწამლავდენ ხალხს და მოზარდ თაობას არა მარტო რელიგიოზური შხამით, არამედ იმ ლიქორებით და სხვა მაგარ სასმელებით, რომელსაც თითონ აწარმოებდენ და თითონ ვაჭრობდენ.

სამღვდელოება დიდ ხანს ითხოვდა—მოგვეცით ნება ჩვენი ხარჯით ვიყოლიოთ მღვდლები ჯარის ნაწილებში და სამხედრო გემებზეო, მარა, ვერას მიაღწია. ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა განხორციელებულია მრავალ სხვა სახელმწიფოებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში—ამ ფინანსიურ მეფეების სამფლობელოში. მხოლოდ ახლა, კაპიტალის და შრომის გადამწყვეტ შეტაკების ხანაში, ბურჟუაზია, რომელიც მოკავშირეებს ეძებს გაფაციცებით მშრომელთა წინააღმდეგ სამოქალაქო ომში, ის ისწრაფის გამოიყენოს ეკლესია—ეს ძლიერი მანქანა ხალხის მასსების მოსატყუებელი და დამჩაგვრელი. საფრანგეთის იაკობინელთა ჩამომავლობა, „სოციალისტები“ მილიერანის ჯიშისა ქედმოხრილი მიეშურებიან რომის პაპასთან! სწადიათ გამოიყენონ ამ ბნელეთის მოციქულის ავტორიტეტის ნამცეცები კაპიტალის მონების გალვიძებულ შეგნების ჩასახშობათ. რეაქციონური იმპერიალისტური ბურჟუაზია, რომელსაც წინეთ თავი მოქონდა თავისი ატეიზმით და რაციონალიზმით, დღეს თითონ თესავს რელიგიოზურ ცრუ რწმენას და ამათ ცდილობს მასსების ყურადღების გატყუებას საიქიო სამოთხისკენ იმ სამოთხისაგან, რომლის დაპყრობას აქ, დედამიწაზე უკვე შეუდგენ მშრომელნი.

ქართველი „იაკობინელები“ მენშევიკები რომლებიც წინეთ ციხეებში იჯდენ ანტირელიგიური პროპაგანდისათვის ამ საკითხშიაც არ რჩებიან უკან „კულტურულ დასავლეთის იმპერიალისტებს“. სამი წელიწადი სრულდება, რაც ისინი გაბატონებული არიან ჩვენში, და ეკლესია ჯერაც არ არის გამოყოფილი სახელმწიფოსაგან შარშან დიდი პრანჭვაგრეხით, მარჯვნით მიმართულ ფიცით და პირჯვრის წერით, რომ არავითარ არაჩვეულებრივ საქმეს არ ჩადიან, მათ გაიყვანეს კანონი სახელმწიფო შკოლებში სალვთო სჯულის მასწავლებელთა ჯამაგირების შეწყვეტის შესახებ ხაზინიდან. მაგრამ იმავე დროს სიამოვნებით დაუთმეს საშკოლო შენობები და მასწავლებელთა დანიშნვა აღუთქვეს მშობლებს, თუ ისინი მოისურვებენ თავის შვილებისთვის სალვთოსჯულის სწავლას. ღვდლებმა იმავე სასწავლებელში სხვა გაკვეთილებიც მიიღეს, ასე რომ ჩვენი სკოლა დღესაც არაა გათავისუფლებული ხუცებისაგან და ხატებისაგან.

მართალია, მენშევიკებს სენატთან ერთად არ აღუდგენიათ უწმინდესი სინოდი, მარა ამ მეფის ბიუროკრატიის დაწესებულების ყველა ფუნქციებს ასრულებს „პატრიარქი-კათალიკოსი სრულიად საქართველოისა“, რომელიც ყველა თავისი ცენტრალურ დაწესებულებებით ჩარიცხულია შინაგან საქ. სამინისტროში და იღებს დროგამოშვებით სახელმწიფოსაგან მილიონებს.

სამღვდელოება აქამდის სახელმწიფოს ჯამაგირზეა. მიცვალებულ თუ მოკლულ კათალიკოს-მიტროპოლიტების--ამ ღვთის მორჩილ მხევალთა-დაკრძალვა ფუფუნებით სწარმოებს და ხაზინის ათი-ათასები იხარჯება. ერთი სიტყვით, „წესიერების პარტიის“ სამფლობელოში — როგორც უწოდებს თავისთავს უურევოლიუციონერესი პარტია ქართველ მენშევიკებისა — რელიგია, ოჯახთან, წესიერებასთან, კერძო საკუთრებასთან და სხ. ერთად სახელმწიფო შენობის ერთ-ერთ ბოძათ ითვლება დღემდის.

ხალხის რელიგიოზურ გამოყეყეჩებამ აქ პირდაპირ სასკანდალო ხასიათი მიიღო ზოგი პირველ ხარისხოვანი ლიდერი მენენშევიკების არა თუ თავის ოჯახურ უბედურებაში რევენ სამღვდელოებას, საკმევლის კვამლს აყენებენ, პანაშვიდებს, ხელის გახსნას და საორმოცოს იხდიან,—ხატობაზე, სუფრაზე მჯდომ კათალიკოსს მიმართავენ: წმინდა მეუფეო! სამაგიეროთ, სამღვდელოება „სოციალისტური“ მთავრობის ოფიციალური თანხმობით ლოცულობს მათთვის, მათი „გამარჯვებისა, ძლევისა და დაუმორჩილოს მის ფერხთა ყოველნი მტერნი და ბრძოლნი“...

ამ დღეებში „გრუპამ“ გამოაქვეყნა კანონპროექტი ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ, რომელიც მიულია ნიკოლოზის კანონების გადამსინჯავ კომისიას. არ იფიქროთ, რომ სახელგანთქმულ მარქსისტების კომისიამ ბურჟუაზიული დემოკრატიის ან ძველი ბურჟუაზიის პოზიციის პოზცია მაინც შეირჩინა. კანონპროექტის მე-3 მუხლი ამბობს: სახელმწიფო ხაზინის და ადგილობრივ თვითმართველობათა თანხები არ შეიძლება დაიხარჯოს რომელიმე სარწმუნოების სასარგებლოდ“. მაგრამ, როგორც შეეფერება დარბაისელ კანონმდებელთ, კომისიას ამ მუხლისთვის პატარა შენიშვნა მიუწებებია: „მესამე მუხლი არ ვრცელდება მღვდელ-მსახურების შესრულების ისეთ საზოგადო დაწესებულებებზე, როგორიც არის: სატუსაღოები, საავადმყოფოები, თავშესაფარები, ჯარი, სახალხო გვარდია და ფლოტი. ეს მუხლი არ ვრცელდება არც იმ თანხაზე რომელიც მოხმარდება იმ მონასტრებსა და, ეკლესიებს, რომელთაც ისტორიული ან მხატვრული მნიშვნელობა აქვთ“. მაშ ასე. „დემოკრატიული და თითქმის „სოციალისტური“ სახელმწიფო შემდეგშიაც ჯამაგირებს გაიღებს იმ ხუცებისთვის, რომლებიც დილის წირვაზე ტუსაღებს მტერმოყვასისადმი სიყვარულს უქადაგებს, საღამოს კი იმავე ტუსაღებს დახვრეტის წინ დალოცავენ; იმ ხუცებისთვის, რომლებიც თავშესაფრებში მოხუც-დავრდნომილთ კი არ ანუგეშებენ მარტო, სულიერათ მოწამლავენ ღარიბ ღატაკთა უბედურ ობლებსაც; იმ ხუცებისთვის, რომლები გლეხთა ჯართან და „ფლოტში“ იქნებიან, აგრეთვე მუშათა გვარდიაშიც, რომელსაც მენშევიკები გვიხატავენ მუშათა წითელ გვარდიით, სოციალიზმისათვის შებრძოლათ! დაბოლოს, მონასტერ-ეკლესიებსაც—ეს ხომ თითქმის ყველა ისტორიული ან მხატვრული ღირებულების მატარებლათ იქნებიან აღიარებული – მოეფინება დემოკრატიული სახელმწიფოს და მისი ხაზინის მამობრივი მზრუნველობის სხივები.

და თავის მარქსიზმის გასახურებლათ, მენშევიკები მუხრუჭებში აქცევენ სარწმუნოებრივ კავშირების—მრევლის, თემის, ჯამაათის და სხ.—წევრებს, კრავს მწყემსზე აბამენ: მე 4 მუხლი ნებას აძლევს მრევლის წევრს მიატოვოს მრევლი, მაგრამ გასული „არ თავისუფლდება მასზე გაწერილი თანხის გადახდის მოვალეობისაგან, მან უნდა გადაიხადოს როგორც მასზე დარჩენილი, ისე წლის ბოლომდე შეწერილი თანხა“. და რადგან რელიგიურ საზოგადოებებს მიკუთნებული აქვთ კანონპროექტით იურიდიულ პირთა უფლება, დემოკრატიული სასამართლოები ანაზღაურებენ თვალგახელილ მოქალაქეს რელიგიურ საზოგადოების მიტოვებას და აიძულებენ მთელი წლის თანხის გადახდას პირმოთნეობის და ცრუმორწმუნეობის საუკუნოთ გასამტკიცებლად. ამიერიდან მენშევიკებისთვის ილოცავენ არა მარტო ქართველი მღვდლები. არამედ სომხის ტერტერებიც და მაჰმადიანთა მოლებიც. სირცხვილია, ბ. ბ. მენშევიკებო!

## რედაქციისაგან.

ვბეჭდავთ ამხ. ბახტიარის და ამხ. გადამთიელის წერილებს, რომლებიც სხვა და სხვა მხრიდან ეხებიან ჩვენი პარტიის ერთ და იმავე საჭირბოროტო საკითხს. რედაქცია იმედოვნებს, რომ სხვა ამხანაგებიც მიიღებენ მონაწილეობას აღძრულ საკითხის გაშუქებაში და მით ხელს შეუწყობენ „მორიგი ამოცანის“ სათანადოთ გადაჭრას.

## მორიგი ამოცანა.

ჩვენი პარტიული მუშაობა ვერ დგას საჭირო დონეზე, საჭირო სიმაღლეზე. ჩვენ ვერ ვაკეთებთ იმას, რასაც უნდა ვაკეთებდეთ, უკეთ რომ ვთქვათ: ჩვენ ვერ ვაკეთებთ იმდენს, რამდენსაც უნდა ვაკეთებდეთ. ჩვენმა ლეგალურმა მუშაობამ ამ 4 თვის განმავლობაში ვერ მოგვცა იმდენი ნაყოფი, რამდენიც უნდა მოეცა, **რამდენიც შეეძლო მას მოეცა.**

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი მაისში მიღებული სამოქმედო კურსი—ლეგალური მუშაობა—მიზან-შეუფერი არ გამოდგა, რომ ის გაკოტრდა. შექმნილ მდგომარეობაში ეს კურსი სწორია, სინამდვილესთან შეგუებულია, მაშასადამე აუცილებლივ მისაღებია.

ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ლეგალიზაციის ფარგლებში, ახალ სამოქმედო გზაზე ჩვენ უფრო მეტი უნდა გვემუშავა, უფრო მეტი ნაყოფი უნდა გამოგვეღო. ჩვენ ვერ ამოვწურეთ ჩვენი სამოქმედო მეთოდის ყველა შესაძლებლობანი.

ჩვენ ვერ გამოვიჩინეთ კომუნისტური პარტიისათვის ყოველ მხარეში და ყოველ დროს აუცილებელი მაქსიმუმი ენერგიისა, მაქსიმუმი თავდადებისა. ეს ჩვენ აშკარად უნდა ვთქვათ, ყველა ამხანაგების საყურადღებოთ უნდა განვაცხადოთ. ჩვენ არ უნდა დავმალოთ, არ უნდა დავფაროთ ის, რაც ჩვენს ნაკლს, ჩვენს უარყოფითი მხარეს შეადგენს. ეს ჩვენ პარტიას არ შეშვენის. საკუთარი თავის კრიტიკა, საკუთარი ნამოქმედარის დადებითი და უარყოფითი მხარეების მისხლობრივი აწონვა—კარგადმყოფი, სასიცოცხლო პარტიისათვის აუცილებელია.

ბევრი ამხანაგი ჩვენი არა საკმარისად ნაყოფიერი მუშაობის მიზეზად დაასახელებს, ალბათ, მთავრობის მიერ წარმოებულ რეპრესიებს ჩვენი პარტიის მიმართ.

ეს, რასაკვირველია, მართალია და უდაო... ეს ყველამ კარგათ ვიცით. კარგათ ვიცით, რომ ფაქტიურად, სინამდვილეში მთავრობის მხრივ ჩვენი პარტიის ლეგალიზაცია არ არსებობს. არ არსებობს თავისუფლება პარტიული მუშაობისა ლეგალურ ფარგლებში. მთავრობა, მიუხედავათ მისი მაისში მოცემულ დაპირებისა მოსკოვში და თბილისში ყოველივე ღონით ებრძვის ჩვენი მუშაობის ლეგალურ მეთოდს... მას სურს, რომ ჩვენ ხელ-ახლა ჩაგვდენოს „პოდპოლიეში“, ძალად მიგვაღებინოს არალეგალური მუშაობის მეთოდი.. და ეს მთავრობის ცდა ყველაზედ უფრო ნათლად ააშკარავებს ჩვენი პოზიციის სისწორეს.

შეიძლება ზოგიერთმა ამხანაგმა მიგვითითოს იმაზე, რომ ჩვენი საუკეთესო ამხანაგები ნაწილობრივ გადასახლებულნი არიან მთავრობის მიერ საზღვარ გარედ, ნაწილობრივ კი დღესაც რესპუბლიკის ციხეებში იმყოფებიან, და, რომ, ამის გამო, გასაკვირი არ არის, თუ ჩვენი პარტიის მუშაობას ბევრი ნაკლი ახლავს და საჭირო ნაყოფსაც ვერ იღებს.

ესეც, რასაკვირველია, უდაო ჭეშმარიტებაა. ჯერ ერთი, ბევრი ჩვენი საუკეთესო ამხანაგები, თითქმის რევოლიუციის დაწყებიდანვე რუსეთში ეწევიან პარტიულ და სახელმწიფოებრივ მუშაობას. მთავრობის რეპრესიები კი ხომ ათობით და ასობით ერეკება ჩვენს ამხანაგებს, მათ შორის, მეთაურებსაც, საზღვარ გარედ.

ორი უკანასკნელი თვის განმავლობაში საქართველოს საზღვრებიდან გადასახლებული იქნენ რამოდენიმე ათეული და ასეული პასუხმგებელი პარტიული მომუშავენი.

მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ მესამე ინტერნაციონალის მე-2 კონგრესზე გაგზავნილ ჩვენი პარტიის დელეგატებს მთავრობა საქართველოში დაბრუნების ნებას არ აძლევს?! ფაქტი, რომელსაც არა აქვს ადგილი მონარქიულ რუმინიაში, შეიდემანელების გერმანიაში, ჯიოლიტის იტალიაში და სხვ. დღესაც საქართველოს ციხეებში ბლომათ მოიპოვებიან ჩვენი პარტიის საუკეთესო მუშაკნი.

ვიმეორებთ, ყველაფერი ეს ასე არის. მუშაობის პირობები წარმოუდგენლად გართულებულია. მომუშავე ამხანაგებს ყოველ წუთში „დემოკრატიული“ საპყრობილე მოელის. ჩვენ ამასაც ვიტყვით: რომ ჩვენს ადგილზე სხვა პარტია იყვეს, ის ამდენხანს ასჯერ დალევდა სულს.

მაგრამ კომუნისტური პარტია, რის პროლეტარული პარტიაა, თუ კი იგი არ იქნება ისეთივე უძლეველი და ყოველივე დაბრკოლებების გადამლახვი, როგორც თვით პროლეტარიატია. მისი რიგები ფოლადის უნდა იყოს; შეურყევი, უძლეველი. იგი შეიძლება ხშირათ დამარცხდეს, საგრძნობათაც დამარცხდეს, მაგრამ ამ დამარცხებებს უნდა სდევდეს არა აპატია, გულის გატეხა—არამედ უფრო მეტი გაკაჟება, ძალების გადაჯგუფება და რეზინისებურად დაკუმშვა, რომ უფრო მედგრად და მწვავედ ჩასცეს ლახვარი დროებით გამარჯვებულ მტერს.

პარტიის ყოველი წევრი უბრალო „რიადავოი“, თუ მეთაური—თავის „პოსტზე“ ღირსეულად უნდა იდგეს. პარტიას დღეს სამხედრო მოქმედება აქვს (ჩვენი ლეგალური მუშაობა, ესეც ერთგვარი „სამხედრო“ მოქმედებაა) თავისი მტრების წინააღმდეგ; პარტია სამხედრო ბანაკია და პარტიის წევრნი კი სამხედრო წესებით მომუშავენი.

ეს მდგომარეობა ყოველ ჩვენგანმა ნათლად და რაც შეიძლება საჩქაროთ უნდა შევიგნოთ. ამ მხრივ კი ჩვენს პარტიაში ყველაფერი თავის რიგზე არ არის. პირად ინტერესებს, კერძო საქმეების მოწყობას, საკუთარ ოჯახურ თუ სხვა მსგავს საქმეებს ზოგი ამხანაგი დაუშვებელ ბევრ დროს ამდომებს, ჩვენი პარტიის და საერთოდ რევოლიუციონურ მდგომარეობასთან შეფარდებით, დაუშვებელ ბევრ ენერგიას ხარჯავს. დღეს ისეთი დროა, რომ კომუნისტური პარტიის წევრებმა პირადი, კერძო საქმეები, რამოდენიმეთ განზე უნდა გადადონ. ბრძოლის დროს—ბრძოლა უნდა. არამც თუ ოჯახური და სხვა რამ პირადი ინტერესები, ჩვენ ჩვენი სიცოცხლის შეწირვაზე უნდა ვიყოთ მზათ ყოველ წუთში. კომუნისტობა, კომუნისტური პარტიის წევრობა დიდ რამეს გვავალებს. ჩვენი საზიდავი ტვირთი მეტად მძიმეა.. რამდენიმე ამხანაგს მისი ზიდვა არ შეუძლია.

ის ამხანაგები, რომლებიც თავისთავს კომუნისტს უწოდებენ და თავი პარტიის წევრებათ მიაჩნიათ, მოვალენი არიან აშკარათ და უყოყმანოთ გადაჭრან კითხვა: ან კომუნისტობა და მაშინ—განზე პირადი საქმეები, მთელი ენერგიით, ცოდნა-უნარით კომუნისტურ პარტიაში მუშაობა, ან და, (კომუნისტური პარტის კარები წამსვლელთათვის ღიაა) უფრო შესაფერი ადგილის მონახვა. ზედმეტი ბალასტი საქმეს მხოლოდ ვნებს.

პარტიის მორიგი ამოცანაა: ფეხზე დააყენოს, აამოძრაოს, პარტიულ მუშაობაში ჩააბას, მთელი ენერგია და ცოდნა დაახარჯვინოს, საჭირო მსხვერპლის გაღებას მიაჩვიოს—თვითეული პარტიის წევრი.

ცე—კა, გუბკომები, უეზდკომები, გორკომები, კომიაჩეიკები, პარტიული წევრები – ერთი ჯაჭვით უნდა გადაებან ერთი-მეორეს, ერთი მომქმედი, მთლიანი სხეული უნდა შექმნან.

პარტიის მძიმე ტვირთი პარტიის ყველა წევრმა უნდა გაინაწილოს.

აი მორიგი ამოცანა და დღის ლოზუნგი.

ვ. ბახტიარი.

## მორიგი ამოცანა.

ამ სათაურით დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება ამხ. ბახტიარის წერილი, რომელსაც, ჩემი აზრით, მთელი ყურადღე-

# დღიური.

ყირიმის ფრონტზე წითელმა ჯარებმა ქ. ორეხოვო აიღეს.

ჩინეთში საშინელი შიმშილობაა. ყოველდღე იხოცება ათი ათასი კაცი.

ათინის ქუჩებში შეტაკებები ხდება. მოკლულია 117 კაცი და დაჭრილი ასზე მეტი.

პოლონეთში რკინის გზელთა გაფიცვები ფართოვდება. გაფიცულებმა დააკავეს ყველა სამგზავრო, საბარგო და სამხედრო მატარებლები.

ბით უნდა მოეპყრას პარტიის ყველა წევრი.

ავტორი აღნიშნავს იმ უდავო დებულებას, რომ ჩვენი პარტიული მუშაობა ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე, რომ ლეგალიზაციის ფარგლებში ჩვენ დღემდის ვერ ამოვწურეთ მოქმედების ყველა შესაძლებლობანი.

ასეთი მდგომარეობა დიაღაც უნდა იქცევდეს ამხანაგების გაორკეცებულ ყურადღებას, რათა გამონახულ იქნეს აქედან გამოსავალი გზა. ხოლო ეს მოითხოვს მისი მიზეზების გამოკვლევას.

ავტორი ეძებს ჩვენი პარტიული მუშაობის ნაკლებ-ნაყოფიერების მიზეზებს და სრულიად სამართლიანათ აღნიშნავს ამ მიზეზთა შორის მთავრობის რეპრესიებს, რომლებიც შეუძლებელს ხდიან ნორმალურ მუშაობას. მთავრობამ საზღვარ გარეთ განდევნა ჩვენი პარტიის წევრები, განდევნა ასობით და მით მოინდომა ჩვენი პარტიის წელში გატეხა. დღესაც მრავლათ სხედან ჩვენი საუკეთესო ამხანაგები საქართველოს ციხეებში და დღესაც კარები აქვს დახშული საზღვარ-გარეთიდან შემოსასვლელათ იმ ამხანაგებს, რომლების წინააღმდეგ ჯერ ბრალდებაც არ არის წამოყენებული ავტორს უდავოთ მიაჩნია, რომ ეს გარემოება მეტათ ართულებს და ამძიმებს მდგომარეობას.

მაგრამ არა კმარა ამაზე შეჩერება. უეჭველია, გარეშე მიზეზებს გარდა, მოქმედებენ შინაური მიზეზებიც, რომელთაც არა-ნაკლები მნიშვნელობა აქვთ პარტიული მოქმედების უნაყოფობაში. და რადგანაც ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს თვით კრიტიკისა, ავტორი მოურიდებლათ აღნიშნავს ჩვენს ნაკლულევანებას. ამ ნაკლულევანებასთან მოსასპობათ ავტორი შემდეგ დებულებას აყენებს „ის ამხანაგები, რომლებიც თავის თავს კომუნისტს უწოდებენ და თავი პარტიის წევრათ მიაჩნიათ, მოვალენი არიან აშკარათ და უყოყმანოთ გადასჭრან კითხვა: ან კომუნისტობა და მაშინ—განზე პირადი საქმეები, მთელი ენერგიით, ცოდნა-უნარით კომუნისტურ პარტიაში მუშაობა ან და (კომუნისტური პარტიის კარები წამსვლელთათვის ღიაა) უფრო შესაფერი ადგილის მონახვა. ზედმეტი ბალასტი საქმეს მხოლოთ ვნებს“.

აქედან ავტორი სწყვეტს მორიგ ამოცანას, რომელიც პარტიული მუშაობის განაყოფიერებას შეეხება და იძლევა სადღეისო ლოზუნგს: პარტიის ყველა წევრები ერთ მომქმედ, მთლიან სხეულათ უნდა შეკავშირდენ და გაანაწილონ პარტიის მძიმე ტვირთის ზიდვა.

რა თქმა უნდა, ავტორი მართლია იქაც, როცა მოითხოვს, რომ კომუნისტებმა გამოიჩინონ მეტი ენერგია, თავდადება, მსხვერპლის გაღება და სხვ. მაგრამ წამოყენებულ საკითხის ხსენებულ ზომამდე ჩამოყვანა იმას მოასწავებს, რომ თვით „მორიგი ამოცანა“ ვერ არის სათანადოთ შეცნობილი.

ჯერ ერთი, ლეგალურათ მომქმედი პარტია ვერ მოსთხოვს თავის წევრებს ყოველივე კავშირი გაწყვიტონ არა პარტიულ საქმესთან და ამნაირად პარტიის პროფესიონალებათ იქცენ. არამც თუ ლეგალური, თვით სავსებით არა-ლეგალური პარტია შეთქმულთა ჯგუფათ იქცევა, თუ ყველა თავისი წევრი მან მარტოთ-მარტო პარტიულ მუშაობაში ჩააბა და ყოველივე სხვა საქმესთან კავშირი გააწყვეტინა. ან რამ უნდა შეინახოს ასეთი პარტია, რომელი წყაროდან უნდა მიიღოს მან საარსებო საშუალება? პარტია მხოლოთ მოწინავე რაზმია კლასისა, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, რომელსაც ის რევოლიუციონურ ბრძოლაში ითრევს და ის მუდამ საჭიროებს დაკავშირებული იყოს თავის კლასთან მუდმივი ძაფებით და ამას კი პროფესიონალიზმის ფარგლებში მომწყვდევით ის ვერ მიაღწევს.

ამნაირათ, ის სრულიად კანონიერი მისწრაფება, რომ ყოველი კომუნისტი ენერგიულ, მხნე და თავდადებულ (თავის განწირვამდე) მუშაობას უნდა ეწეოდეს თავისი პარტიის სასარგებლოთ, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ყოველი წევრი პარტიის ხარჯზე უნდა გადავიდეს და პარტიული მუშაობის გარდა სხვა საქმე აღარა ქონდეს რა. პარტიულ პროფესიონალებათ მთელი პარტია ვერ გადაიქცევა,—ეს ცხადია.

შესაძლოა, საქმის ინტერესებმა მოითხოვოს რამდენიმე ამხანაგის გამოყოფა და მათი პროფესიონალურ მუშაკებათ გადაქცევა. ამას მუდამ აქვს ადგილი როგორც პარტიის ლეგალობის, ისე მისი არა ლეგალობის დროსაც. მაგრამ ამხ. ბახტიარი ლაპარაკობს არა ამ გამონაკლის შემთხვევაზე, — მას მხედველობაში ყავს პარტიის ყველა წევრები და ჩვენც არ გავაგრძელებთ ამაზე ბაასს, რადგან იგი დაგვაშორებდა ავტორის მიერ წამოყენებულ საკითხს.

საკითხი კი, ჩემი აზრით, გადაუჭრელი რჩება ამხანაგ ბახტიარის წერილში. მართლაც და რა არის მიზეზი ჩვენი პარტიული მუშაობის სუსტი ნაყოფიერებისა (მისი უნაყოფობათ დახატვა გადაჭარბებულათ მიგვაჩნია)? ჩვენ ვერ დავიპყარით სავსებით ლეგალური მოქმედების ასპარეზი, თუმცა გავწყვიტეთ კავშირი არალეგალობასთან და მთელი ძალღონით მივისწრაფით ლეგალიზაციისკენ. ეს ფაქტია. ხოლო რაკი ჯერ ლეგალურ ასპარეზზე ვერ მოვმაგრდით (რეპრესიებით თუ სხვა მიზეზებით), ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვერ გავხდით საკმაოთ საგრძნობი ძალა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. და განა მარტო ეს? ჩვენ ვერ შევსძელით გაგვეჩაღებინა ნამდვილი ორგანიზაციული მუშაობა და დღემდის ვერ გავსცილდით უბრალო პროპაგანდისტულ მუშაობას. რა არის ყოველივე ამის მიზეზი?

რა თქმა უნდა, მთავრობის რეპრესიები აქ უმთავრეს როლს თამაშობს. თუ კი ყოველ მომქმედ ძალას ის წაახრობს და მცირე გასაქანს არ მისცემს, ისიც არამეათედი საქმეა ასეთ პირობებში, რომ სუსტ პროპაგანდას მაინც ვახერხებთ. ეს ასეა და რეპრესიების როლის დამცირება ამ საქმეში არ შეიძლება.

მაგრამ განა ჩვენ კი მოვიმოქმედეთ ის, რაც შესაძლებელი იყო, თუნდაც იმ ძალებით, რომლებიც დრო-გამოშვებით მაინც, მეტათ თუ ნაკლებათ მოგვეპოვებოდა? ჩვენ ვერ შევასრულეთ ერთი დიდი ორგანიზაციული საქმე, რომელიც ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა: ჩვენ ვერ მოვიწვიეთ პარტიის სიეზდი, რომლის მოწყობა ლეგალურათ ან ნახევრათ—ლეგალურათ უეჭველათ შეიძლებოდა. ჩვენ ვერ შევიმუშავეთ პარტიის ოფიციალური პოლიტიკური და ტაქტიკური ხაზი, თუმცა საამისო აზრების დამუშავება ადვილათ შეგვეძლო პარტიულ ორგანოს ფურცლებზე გვეწარმოებინა.

ამის მიზეზების ძებნა საჭირო არ არის. საკმარისია თვით ფაქტი იქნეს აღნიშნული. როგორ უნდა დავიპყრათ ჩვენ ლეგალური ასპარეზი, როდესაც ჯერ ჩვენი პარტიისთვის თავი ვერ მოგვიყრია? როგორ უნდა შევიქნეთ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების გავლენიანი ფაქტორი, როდესაც ოფიციალური პოლიტიკური ხაზი არ შეგვიმუშავებია?

აქედან ცხადია, რა ამოცანის გადაწყვეტა გვევალება ჩვენ დღეს. ჩვენ უნდა მოვიწვიოთ პარტიული სიეზდი, რომელიც შეძლებას მოგვცემს ყველა ჩვენი ძალების შეკავშირებისა და მით მიზან შეწონილათ განაწილებისა, ჩვენ უნდა შევიმუშავოთ პოლიტიკური ხაზი, ერთნაირათ შეცნობილ-შეთვისებული ყველა ჩვენი ამხანაგის მიერ. ერთი სიტყვით, ჩვენ უნდა შევქმნათ მომქმედი აპარატი და გამოვიმუშავოთ სამოქმედო გეგმა, უამისოთ, მარტო ინტერნაციონალის კონგრესთა ანგარიშების ბეჭდვით თუ კითხვით, მარტო პარტიული თუნდაც შინაარსიანი გაზეთის გამოცემით ან რამდენიმე მარქსისტული წიგნაკის გამრავლებით ჩვენ ვერ გავცილდებით დღევანდელ მდგომარეობას, ასეთ პირობებში ჩვენ ვიქნებით მხოლოთ წრე, მხოლოთ ჯგუფი (თუნდაც მრავალ რიცხოვანი), მაგრამ არ ვიქნებით პარტია, არ ვიქნებით სერიოზული პოლიტიკური ძალა.

ჩვენ უნდა გადავიქცეთ ნამდვილ პოლიტიკურ პარტიათ. აი ჩვენი მორიგი საკითხი.

გალამთიელი.

# ბიულეტენი პრესბიუროსი

რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

### ამხ. გეორგიადის სიტყვა.

ათინა, 14 ოქტომბერი. არჩევნების წინ გამართულ მანიფესტაციებზე, რომელიც საბერძნეთის სოციალისტურ (კომუნისტური) პარტიამ მოაწყო, ამხ. გეორგიადისმა წარმოსთქვა სიტყვა და სხვათაშორის სთქვა:

ამხანაგებო, ჩვენი მტრები პირველად ყურადღებას არ გვაქცევდენ ჩვენ, შემდეგ ლანძღვა-გინება მორთეს ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ როდესაც დაინახეს, რომ ჩვენი რწმენა ღრმაა, რომ ჩვენ მხარს გვიჭერს მშრომელი კლასი, შეეცადენ ბურჟუაზიული ძალაუფლების ტლანქი ძალით ჩვენს შემუსვრას. ათინის, სალონიკის, დრამის და კველის ციხეების ბნელი და ნესტიანი საკნები ავსებულია ჩვენი საუკეთესო ამხანაგებით.

ჩვენ არას დროს არ ვმალავდით ჩვენს ზრახვებს არც მეგობართან და არც მტრებთან და ახლაც ვაღიარებთ, რომ ჩვენი დიადი მიზანია—დავრაზმოთ მუშები, გლეხები და წვრილი მწარმოებლები იმ მანქანის დასამსხვრევათ, რომელსაც ბურჟუაზიული ძალა-უფლება ეწოდება და მის ნაცვლათ დავაწესოთ პროლეტარიატის დიქტატურა. ჩვენ ვიღებთ მძიმე ჯვარს—დამონებულ კლასების განთავისუფლებისას, ვინაიდან ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბურჟუაზიული კლასის ზნეობრივი და ფინანსიური გაკოტრების შემდეგ, მხოლოდ სოციალისტურ წყობილებას ძალუძს გაანთავისუფლოს ქვეყანა ეკონომიურ და პოლიტიკურ მონობისაგან, რომელშიც გადაგვჩება ვენიზელოსის ბატონობამ.

მთავრობას განზრახული აქვს ჩაგვითრიოს ახალ ომებში ევროპის და ამერიკის კაპიტალისტების ინტერესებისათვის. მან ერთხელ უკვე გაგზავნა მუშები და გლეხები რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის ჩასაქრობათ. და ეს უნამუსო მმართველები, რომლებიც აგრე იაფათ ჰყიდიან ბერძნების მოქალაქეთა ძვირფას სისხლს—ხელს უწყობენ კიდევ გენ. ვრანგელის კონტრ-რევოლიუციონურ ოინებს. (ხმაურობა: „ძირს ვრანგელი“, გაუმარჯოს რუსეთის საბჭოთა მთავრობას!“ ძირს ვენიზელოსის მთავრობა! ძირს ყოველგვარი ბურჟუაზიული მთავრობა“).

„ძლევამოსილი იარაღი, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია დავამხოთ აწინდელი წეს-წყობილება,—ეს არის ,,ძირს ომი“! ამ ლოზუნგებით ჩვენ გამარჯვებულები გამოვალთ და აწინდელ დრომოჭმულ წყობილებას შევცვლით ახლით, სადაც სამართლიანობა, თანასწორობა, უუმაღლესი კულტურა თავის შესაფერ ალაგს დაიჭერს. ღრმა რწმენით სოციალისტურ წყობილების მოახლოვებულ გამარჯვებაში მოგესალმებით თქვენ და მსოფლიო პროლეტარიატს.

### რუსეთისადმი თანაგრძნობის მიტინგი.

მოსკოვი, 18 ოქტ. სექტემბერში, ქ. ნიუ-იორკში დიდი მიტინგი გაიმართა, რომელიც რუსეთისადმი საექიმო დამხმარე კომიტეტმა მოაწყო. მიტინგს 10,000 კაცი დაესწრო.

მიტინგის თავმჯდომარემ ექიმ მაგნესმა აღწერა რა რუსეთის მდგომარეობა, რომელიც იტანჯება ბლოკადისა და ინგლისის მიერ კონტრ-რევოლიუციის დახმარების გამო. და ყოველივე ეს ჰუმანიზმის სახელით კეთდება, რაც, საუბედუროთ, ევროპის და ამერიკის დანაშაულობას რუსეთის წინაშე უფრო ზრდის. თუ იმ მოსაზრებით, რომ რომელსაც ამართლებენ მხოლოდ ბიუროკრატები თეთრი სახლებიდან არ შეიძლება საბჭოთა რუსეთის ცნობა და მასთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა, მაშ ამერიკის ხალხს რათ არა აქვს ნება რუსეთს გაუგზავნოს საჭირო მასალები, რომლებიც ძლიერ ესაჭიროება რუსეთს? არც ერთ სახელმწიფოში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში დარბევების მოხდენა შეუძლებელი არ გაუხდია ისე, როგორც ეს საბჭოთა რუსეთმა მოახერხა. უნდა შევწყვიტოთ ეს ომი, რომემელიც მიმართულია ყველა სუსტებისა და ავადმყოფების დასაღუპავათ.

თავმჯდომარეს ოვაციები გაუმართეს. კაფედრაზე საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი ამხ. მარტენსი ადის. მარტენსი თავისი მოკლე, და გრძნობიერ სიტყვაში, აღწერს იმ პირობებს, რომელთა შორის წარმოიშვა ქვეყანაზე და იბრძვის უძლიერეს რეაქციის წინააღმდეგ საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც არის მშრომელ მასების აღთქმულ მისწრაფებათა და იმედთა სიმბოლო, რისთვისაც მთელი ქვეყნის იმპერიალისტები მის წინააღმდეგ შურით და მტრობით არიან აღვსილი. საბჭოთა რესპუბლიკის მტერთა მარცხი იმის მაჩვენებელია, რომ არავითარი გარეშე ზედგავლენა ვერ შეარხევს რუსეთის რევოლიუციის მიმდინარეობას. რუსეთის მუშამ იცის, რომ იგი იბრძვის თავისი ეკონომიური და პოლიტიკური თავისუფლებისათვის. მოსალოდნელი იყო, რომ ამერიკა მხარს დაუჭერდა საბჭოთა რუსეთს ახალი ცხოვრების მოწყობაში, მაგრამ მან ძველი, საბოლოო რეჟიმის დახმარება არჩია. ყველაზე უფრო სიბეცე, ყველაზე უფრო უშედეგო და თავხედი ცდა არის შეიარაღებული ძალით და ფულის საშუალებით სამოქალაქო ომის გაღვივებით რუსეთში ძველი წესწყობილების აღდგენის სურვილი“.

სხვა ორატორებიც ტაშის ქუხილში აღიარებდენ: „როდესაც იცნობენ საბჭოთა რუსეთს, მაშინ მარტენს ოფიციალურ წარმომადგენლათ, მიიღებენ; ჩვენ გვსურს რომ იგი მიიღონ თეთრ სახლში ახალ პრეზიდენტთან—ევგენი დედსთან. მიტინგმა თითქმის მთელი უმრავლესობით—10,000-მა 3-ს წინააღმდეგ—მიიღო მოითხოვონ საბჭოთა რუსეთის ცნობა და მასთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა.

### ,,ბავშთა კვირა''.

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით 7-ან 14 ნოემბრამდე დანიშნულია „ბავშთა კვირა“ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკების ბავშვების დასახმარებლათ.

### მეუმცირესე სინდიკალისტები და მესამე ინტერნაციონალი.

რეველი, 10 ოქტომბერი. ორლეანიდან „მატენი“ იუწყება, რომ მეუმცირესე სინდიკალისტებმა ყრილობის შემდეგ გადაწყვიტეს განსაკუთრებულ სხდომაზე დაავალონ თავის ცენტრალურ კომიტეტს მიიღოს შესაფერი ზომები, რათა მეუმცირესეთა ორგანიზაცია შეუერთდეს მესამე ინტერნაციონალს.

### საბჭოთა დელეგაციის მოღვაწეობის შესახებ ლონდონში.

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. კრასინსა და ინგლისის ფირმების შორის ხელმოწერილია ბევრი ღირსშესანიშნავი ხელშეკრულებები.

ახლა უკვე ხელმოწერილია ხელშეკრულება რუსეთისათვის ტანთსაცმელების მიწოდების შესახებ. ეს ხელშეკრულება აღწევს 1.800.000 გირვანქა სტერლინგს, მოლაპარაკება სწარმოებს კიდევ რამოდენიმე შალეულობის ფირმებთან, ასე რომ საერთო ჯამი ხელშეკრულებებისა აღემატება ორ მილიონ გირვანქა სტერლინგს.

შეკვეთილია 50,000 გირ. სტერლინგის შინეში ავტომობილებისათვის და 150,000 გირ. სტერლინგის მედიკანტები. მიუცილებელ პირობათ ყველა ამ ხელშეკრულებებისა არის შეკვეთილ საქონლის სამი თვის განმავლობაში მიწოდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულებები კარგავენ თავის ძალას. რაც შეეხება ინგლისური საქონლის რუსეთში გადმოზიდვას, არავითარ დაბრკოლება არაა მოსალოდნელი. ინგლისს აქვს საკმარისი ტონნაჟი საქონლის რეველამდი მოსაზიდავათ, რეველიდან კი საქონელი რკინის გზით იქნება გადატანილი შიდა რუსეთში. უმთავრესი საგანი რუსეთიდან მოსაზიდი საქონლისა ხეტყე—გატანილ იქნება საზღვარ-გარეთ არხანგელსკიდან და მურმანსკიდან.

ლონდონის მისიის საშუალებით დამთავრებულია ხელშეკრულებები შვეიცარიასთან ქიმიკურ ნაწარმოებთა და მედიკამენტების მოსაზიდებლათ რუსეთში, ჩეხო-სლოვაკებთან—სასოფლო - სამეურნეო მანქანებისა და იტალიასთან სხვა და სხვა საქონლისა.

### ალბერ-ტომას გაძევება პარტიიდან.

მოსკოვი, 18 ოქტ. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთამ დაადგინა წინადადება მისცეს პარტიულ კონფერენციას, რომელიც მოწვეული იქნება 12 დეკემბერს, გამორიცხონ პარტიიდან სოციალ - პატრიოტი ალბერტომა.

### სასურსათო კამპანია სმოლენსკის გუბერნიაში.

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. სმოლენსკის გუბერნიაში. რომელიც მწირ მოსავლიან გუბერნიათ ითვლება, ქალაქის მცხოვრებთა საჭიროებისათვის და წითელი არმიისთვის დაგროვებულ იქმნა პირველ სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდის 2.200,000 ფუთი ხორბალი.

### პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობა.

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. პროფესიონალური კავშირების საერთაშორისო საბჭომ საამშენებლო მუშების კავშირიდან გაფიცულთა სასარგებლოთ 1 მილ. და ორასი ათასი მანეთი მიიღო. სხვათა შორის რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 2 ნახ. მილიონი მანეთი გაუგზავნა, რომელიც პროფესიონალურ კავშირების საგუბერნიო საბჭოებმა მოჰკრიბა.

### სოციალური უზრუნველყოფა.

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. ამ ჟამათ სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოები რ. ს. ფ. ს. რ. 1 ნახ. მილიონ პენსიას ურიგებს ძველ და ახალ არმიების ინვალიდებს. დაზარალებულ ოჯახებს ნახევარი წლის განმავლობაში 4 მილიარდს აძლევენ. ინვალიდების რიცხვი მთლათ 150,000 უდრის.

საბჭოთა რუსეთში არის 180 სხვა და სხვა ნაირი სახელოსნოები და სკოლები განსაკუთრებით ინვალიდებისათვის.

### საქართველოს კომუნისტურ პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს

„ახ. კომ.“, როგორც მუშათა კლასის ორგანო, მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას სავსებით ნაყოფიერათ, როცა ის რაც შეიძლება უფრო მჭიდროთ იქნება დაკავშირებული მუშების და გლეხების ცხოვრებასთან, როცა ის სინამდვილით და სისწორით გააშუქებს ამ ცხოვრებას.

ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, იქნება ეს ქალაქის კომიტეტი თუ საგურბენიო, სამაზრო ან სასოფლო კომიტეტი, ან უბრალო სოფლის ორგანიზაცია იყოლიოს ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი კორესპოდენტი, რომელსაც დავალებული ექნება სისტემატიურათ უგზავნოს „ახალი კომ.“ რედაქციას ყოველგვარი ცნობები, მასალები და სხვა მუშათა და გლეხთა ცხოვრების შესახებ. ეს ცნობები და მასალები რაც შეიძლება მიუდგომლათ, ობიექტიურათ უნდა იყოს შედგენილი, რის პასუხისმგებლობა თვით ორგანზაციას აწევს.

ცენტრალური კომიტეტი.

სოციალურ უზრუნველყოფის მუზეუმში, რომელიც ახლა თავდება, არის ინვალიდების მიერ ნაკეთები და შემოწირული ძვირფასი განძეულება.

### შრომის ფრონტზე.

**მოსკოვი, 25 ოქტ.** კოსტრომაში „შაბათობას“ ვაიყვანეს ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა ორი ვერსის მანძილზე? ჩაუყარეს საფუძველი წყალსადენს.

ნოვგოროდში რკინის გზელთა ახალგაზრდობამ დაადგინა გადასდოს ერთი დღის ჯამაგირი წითელი ფრონტის სასარგებლოთ; ხალხთა ურთიერთობის მოსამსახურეთა და მუშათა საერთო კრებამ დაადგინა გადასდონ თავიანთი ხვედრი ფეხსაცმელები წითელი არმიის სასარგებლოთ; ფეხსაცმელების საკერავ სახელოსნოებში წარმოება გადიდებულია 100 პროც.

### სიმშილობა ჩინეთში.

**მოსკოვი, 25 ოქტ.** გაზეთ „ტაიმსის“ ცნობით ჩინეთში აუწერელი სიმშილობაა. სიმშილობს 30 მილიონი კაცი; ყოველ დღე კვდება სიმშილობით ათასზე მეტი კაცი.

### მოძრაობა ინდოეთში

**მოსკოვი, 25 ოქტ.** მოძრაობას ინდოეთში აქვს როგორც ეკონომიური ისე პოლიტიკური ხასიათი. მუშების მასიური გაფიცვაა; წარმოებების მთელმა რიგმა შეწყვიტა მუშაობა; გაფიცულები თხოულობენ ხელფასის მომატებას საერთო სიძვირის გამო. ინდოეთის პროფესიონალურმა კონგრესმა დაადგინა შეწყვიტოს მუშაობა ინგლისელებთან. იქაური მცხოვრებლები მასიურათ ტოვებენ მუშაობას ინგლისურ დაწესებულებებში; მშობლები უკან იწვევენ ბავშვებს ინგლისურ შკოლებიდან; ყოველგან აარსებენ ნაციონალურ სასამართლოებს და შკოლებს.

### პოლონეთი და პეტლიურა.

**მოსკოვი, 26 ოქტ.** საბჭოთა რესპუბლიკის და პოლონეთს შუა წინასწარ ზავის ჩამოგდება. კომისიაში, რომელიც ქ. ბერდიჩევში მუშაობს, პოლონეთის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს მოეცათ ჩვენთვის ცნობები პეტლიურას ნაწილების მდგომარეობის შესახებ. პოლონეთის წინამძღოლებმა განაცხადეს, რომ ისინი არ ღებულობენ თავის თავზე პასუხისმგებლობას პეტლიურას ნაწილების მოქმედების შესახებ.

### არეულობა საბერძნეთში

**მოსკოვი, 25 ოქტ.** ათინაში ქუჩებში მოხდა დიდი არეულობები. ვენიზელოსის საწინააღმდეგო მანიფესტაციაში მოკლულია 147, დაჭრილია ას კაცზე მეტი.

### პოლონეთი ემზადება ლიტვაზე დასაცემათ.

**მოსკოვი, 26 ოქტ.** პოლონეთის სარდლობა ამზადებს ჯარებს ლიტვის საზღვრებზე შიგა ლიტვაში შეტევის გასაგრძელებლათ. საფრანგეთის გენერლები განაგრძობენ თავის უწმაწურ თამაშს. საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენლებმა პოლონეთში განაცხადა, რომ რუსეთის მხრივ საშიშროება პოლონეთისათვის ჯერ კიდევ არ მოსპობილა და ამიტომ პოლონეთის ჯარების შემცირება შეიძლება დაიწყოს მხოლოთ რამოდენიმე ხნის შემდეგ.

### რკინისგზელები იფიცებიან.

**მოსკოვი, 26 ოქტ.** რკინისგზელების გაფიცვა პოლონეთში ვრცელდება. ქ. კრაკოვში რკინის გზელებმა დააკავეს სამგზავრო, საბარგო და სამხედრო მატარებლები.

### სასურსათო ფრონტზე.

**სარატოვი, 26 ოქტ.** ვოლსკის მაზრაში გაორკეცებული მუშაობაა პურის დასამზადებლათ. მარტო ტერსიმსკის ვოლოსტმა დაამზადა ორი დღის განმავლობაში 10,000 ფუთზე მეტი ხორბალი ზოგიერთ სოფლებში გლეხები იძლევიან ხორბალს ტოვებენ რა თავისთვის ნორმაზე გაცილებით ნაკლებს. ვოლსკის სამაზრო კონფერენციამ კომუნისტური პარტიისა ერთხმათ მიიღო დადგენილება მობილიზაცია უყონ თავიანთ თავს სასურსათო ფრონტისთვის. ასი დელეგატი უკვე წავიდა საგანგებო სამუშაოზე.

### მასწავლებელ ქალთა უქორწინობის საკითხი პრუსიაში.

**მოსკოვი, 15 ოქტომბერი.** პრუსიის ლანტაგში ირჩეოდა მასწავლებელ და მოსამსახურე ქალთა უქორწინობის საკითხები. კიდევ დეკემბერში წარსული წლისა პალატამ გააუქმა ქორწინების აკრძალვის კანონი, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ცხოვრებაში არ გატარდა. ამის გამო დამოუკიდებელ და სახალხო პარტიებმა ლანტაგში შეკითხვა შეიტანეს. აღენთო მღელვარე კამათი. დამოუკიდებელი სოციალისტი ქალი რეიხი ძიობდა დაგვიანების მიზეზებს, სახალხო პარტიის წარმომადგენელი ქალი პელმანი ამბობს, რომ უკმაყოფილებას აცხადებენ მასწავლებელი და მოსამსახურე ქალები მათი უფლების შელახვისთვისო.

დაქორწინების ნებართვა არას გზით არ ცხადდება ცხოვრებაში და მთავრობამ ამას შესაფერი ყურადღება უნდა მიაქციოსო.

### ფინლიანდიასთან ზავის დამტკიცება.

**მოსკოვი, 25 ოქტ.** სრულიად რუსეთის აღმასრულებელი ცემტრალ. კომიტეტის სხდომაზე, ფინლანდიასთან შეკრულ ზავზე მოხსენება გააკეთა ბერეზინმა, რის შემდეგ შემდეგი რეზოლიუცია მიიღეს:

„სრულიად რუსეთის აღმასრულებელი ცენტრალი კომიტეტის სხდომა ფინლიანდიასთან შეკრულ ზავს ამტკიცებს და სახალხო გარეშე საქმეთა კომისარიატს ავალებს ამ რატიფიკაციის შესახებ აცნობოს ფინლიანდიის მთავრობას“.

### ზავის რატიფიკაცია პოლონეთსა და უკრაინას შორის.

**ხარკოვი, 20 ოქტომბერი.** გაიხსნა უკრაინის ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელი კამიტეტის მეორე სესია, რომელმაც ერთხმათ მიიღო პოლონეთთან დროებითი ზავის და ზავის წინასწარი პირობები.

### საზღვარ-გარეთთან ურთიერთობა.

**პეტერბურგი, 21 ოქტომბერი.** ოქტომბერში გამბურგიდან რუსეთში 169 ვაგონი სხვა და სხვა საქონელი შემოიტანეს, განსაკუთრებით სამეურნეო იარაღები.

### ციხის მაგიერ ფაბრიკები

**სმოლენსკი, 20 ოქტ.** სმოლენსკის ციხეში ფეხსაცმელების საკერავი ფაბრიკა მოაწყვეს.

### რუსეთის რკინის გზები

**მოსკოვი, 23 ოქტ.** მიუხედავათ ფრონტების სიჰარბისა, რუსეთში სასწრაფოთ აწარმოებენ მატარებლების მსვლელობის რეორგანიზაციას. სექტემბერში შეაკეთეს 260 პროც. მთელი შესაკეთებელი ორთქლმავლებისა.

### პოლონეთის სეიმში

**ნაუენი, 22 ოქტომბერი.** პოლონეთის სეიმში მთავრობის დეკლარაციას დეპუტატმა მაზსმა შემდეგი პასუხი გასცა: რიგის ხელშეკრულება პროლეტარიატის პრინციპებს ეწინააღმდეგება. რუსეთის რეაქციის დახმარება პოლონეთის რეაქციას გააძლიერებს. პოლონეთის მთავრობა შავი ლაქით შეიმურა; მან თავი ისახელა მუშათა პრესის დევნით, კავშირების დახურვით და მუშათა ორგანიზაციების წინააღმდეგ პაგრომებით. ერთადერთი გზა ხსნისა კაპიტალისტური ჯოჯოხეთიდან,—სოციალიზმია, მუშათა ძალაუფლება“.

### პაგრომები პოლონეთში

**ნაუენი, 22 ოქტომბერი.** ნოვე პრილუცკი „მომენტში“ ათავსებს ცნობებს ბალახოვიჩის ჯარების მიერ ჩადენილ პაგრომების შესახებ. შაცკში 175 ებრაელთაგან მოჰკლეს 156, ლიუბეშინში—50, სოფ. ველიკგლუსტში—21.

### განსაკუთრებული გადასახადები გერმანიაში.

**ნაუენი, 23 ოქტომბერი.** რომ იხსნან ქვეყანა კატასტროფიდან მთავრობამ გადაწყვიტა ორი წლის განმავლობაში 80 მილიარდი მარკა შეკრიფოს 30 ს მაგიერ.

მთავრობას იმედი აქვს, რომ ამ პროექტს მოიწონებს პარლამენტიც.

## უკანასკნელი ცნობები

**სამხ. ოპერატ. 25 ოქტომბრის რადიო-ცნობა რესპუბლიკის „რევოენსოვეტის“ საველე შტაბისა.**

**მოსკოვი, 25 ოქტომბერი.**

### ყირიმის ფრონტი.

ორეხოვის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა ორეხოვო დაიკავეს და ბრძოლას განაგრძობენ გულიაიპოლეს რაიონში.

ძვირფასო ამხანაგებო! „ახ. კომუნისტი“ გამოდის „ბრძოლის“ მაგიერ. ის მუშების და გლეხების გაზეთია; როგორც „ბრძოლა“, ისე „ახ. კომუნისტიც“ დაიცავს მთელი მშრომელი მასსის ყველა დაჩაგრულთა და შევიწროებულთა ინტერესებს. აშკარაა, რომ თავისი ორგანო თვით მუშებმა და გლეხებმა უნდა ასაზრდოონ, თვით მუშებმა და გლეხებმა უნდა მისცენ მას არსებობის საშუალებანი.

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! აღმოუჩინეთ თქვენი არსებით ინტერესების დამცველ გაზეთს „ახ. კომუნისტს“ ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება. მიიღეთ უოველგვარი ზომები მის გასავრცელებლათ ფართო მასსაში, გამართეთ ხელის მოწერა მის სასარგებლოთ. ამით თქვენ უზრუნველყოფთ მის არსებობას.

**საქართვ. კომუნისტ. ორგანიზაციების დროებ. ცენტრალური კომიტეტი.**

### სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელი კამიტეტის სხდომა.

**მოსკოვი, 25 ოქტომბერი.** გარეშე საქმეთა კომისარის მოხსენების შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. რადეკმა. მან აღნიშნა ის მტრული განწყობილება საბჭოთა რუსეთის მიმართ, რომელსაც ამჟღავნებს პრესაში პოლონეთის წარმომადგენელი რიგაში. მან აღნიშნა, რომ მიუხედავათ წინასწარ ხელშეკრულების დადებისა, ომს მაინც აწარმოებენ—პეტლიურა, ბალახოვიჩი და სავინკოვი. გენერალ ჟელიხოვსკის მიერ ვილნოს აღება დიდი ყურადღების ღირსია. ყოველივე ეს, რადეკის აზრით, პოლონეთის ბურჟუაზიის მხრივ ნიშნავს წინასწარ ჩაფუშვის სურვილს. რადეკი გარეშე საქმეთა კომისარიატს წინადადებას აძლევს, გააფრთხილოს პოლონეთი, რომ ის ცუდ ოინებს ეწევა, რომ მისი აგენტების ყოფა-ქცევა უკვე მიღებულ პრელიმინალურ ზავის პირობებს არ შეეფერება.

ამხ. ენუქიძის წინადადებით ერთხმათ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია:

„გადავსინჯეთ რა ერთის მხრივ რუსეთისა და უკრაინის, მეორეს მხრივ პოლონეთსა შორის დადებული პრელიმინარული ზავის პირობები, ხელმოწერილი რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიანი წარმომადგენლების ამხ. იოფეს, კიროვის, მანუილოვის და ობოლენსკის მიერ რიგაში ამა წლის 12 ოქტომბერს, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ამტკიცებს (რატიფიკაციას ახდენს) აღნიშნულ პირობებს და გარეშე საქმეთა კომისარიატს ავალებს, რომ ამ რატიფიკაციის შესახებ პოლონეთის მთავრობას საჩქაროთ აცნობოს.

### ბუხარესტში „მშვიდობიანობაა“.

**ლიონი, 26 ოქტომბერი.** ბუხარესტში და მის პროვინციებში სრული სიწყნარეა. შემოღებულია საალყო წესები და ცენზურა.

### ბალშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კავშირი გერმანიაში.

**ნაუენი, 26 ოქტომბერი.** ეს კავშირი ისახავს შემდეგ მიზნებს: 1) ნაციონალიზმის განცხოველება გერმანიის ყველა კლასებში. 2) სახელმწიფოს და მისი ორგანოების ავტორიტეტის ამაღლება, 3) ბრძოლა ბალშევიზმისა და ნაციონალ—ბალშევიზმის წინააღმდეგ, 4) იდეალების განვითარება მატერიალისტურ მსოფლმხედველობის წინააღმდეგ საბრძოლველად, 5) ბრძოლა მევახშეობის წინააღმდეგ, 6) მზრუნველობა გერმანელ მოქალაქეებზე და განსაკუთრებით გერმანელ მანდილოსნებზე.

### მებრძოლნი ებრძვიან კონტრ-რევოლიუციას.

**ბაქო, 26 ოქტომბერი.** ტემირ-ხან შურაში მთიულებმა მოაწყვეს მოხალისეთა რაზმები გაცინსკის და ალიხანოვის წინააღმდეგ. ასეთივე რაზმები ეწყობა მთელს ოლქში.

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! გაავრცელეთ თქვენი ინტერესების დამცველი გაზ. «ახ კომუნისტი».

## დეპეშები

(ს. დ. ს.)

### საგანგებო თათბირი

**ლიონი.** „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება: ჯიოლიტმა მოიწვია საგანგებო თათბირი იტალიის ეკონომიურ მდგომარეობის გამოსარკვევად. ეს თათბირი გამოწვეული იყო მუშების არეულობის გამო. თათბირი მოიწვიეს ციურიხში. დაესწრენ მუშების, მრეწველების და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელები. დაესწრენ აგრეთვე რომისა და მილონის პრეფექტები, რომელთაც განაცხადეს, რომ მუშების მიერ ქარხნებისა და საწყობების დაკავება კერძო საკუთრების უფლების დარღვევა არისო. თათბირზე აღნიშნეს, რომ იტალიის მდგომარეობა უფრო ანარქიას უახლოვდება, ვიდრე კომუნიზმსო. გაზეთის ცნობით თუმცა ამ თათბირზე შეთანხმება არ მოხდარა, მაგრამ შემრიგებელი ხაზი მაინც გამოსჭებნესო. თათბირის შედეგებს ამცნობენ შრომის ფედერაციისა და მრეწველთა კავშირს. ამათ მიერ საკითხის გათავების შემდეგ მოწვეული იქნება მეორე თათბირი. (ს. გ.)

### ლოიდ-ჯორჯის ხრიკები.

**ლონდონი.** „დეილი ტელეგრაფი“ აქვეყნებს ინტერვიუს კამენევთან, რომელიც აცხადებს: ლოიდ-ჯორჯი იმდენათ გამოქნილია, რომ მას თავისუფლად შეუძლია არ დაეჯახოს პოლიტიკურ ზღვის ქვეშ არსებულ ქვებს. ლოიდ-ჯორჯის უმთავრესი მიზანია, რომ შეაჩეროს მუშათა მოძრაობა; ამისათვის იგი ხელოვნურათ სცდილობს ხალხს ეჭვი შეატანოს ბოლშევიკებისა და ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერების პატიოსნებაში. როდესაც კორესპოდენტი შეეკითხა მას რუსეთის ბრილიანტების შესახებ მან განაცხადა, რომ რუსეთის ბრილიანტები ამ უკანასკნელ თვეებში მართლაც გაჰქონდათ სხვა და სხვა ქვეყნებშიო. (ს. გ.)

### იტალიელთა დარბევა

**ჰელსინგფორსი.** მიღებული ცნობა იტალიელთა დარბევის შესახებ უესტ-ფრანქფურტში (ილლინოისის შტატშია). ამერიკელთა ბრბო, მას შემდეგ, როცა შემთხვევით ჩხუბის დროს მოკლულ იქნა ორი ამერიკელი, დაერია იტალიელთ. დაარბიეს იტალიელთა მაღაზიები და ბინები. იტალიელნი ძალით გამოყავდათ ბინებიდან და ქუჩაში უსწორდებოდენ. მსხვერპლის რაოდენობა ჯერ გამოურკვეველია. ჯერჯერობით დათვლილია მხოლოდ 150 დაჭრილი და 10 მკვდარი. წესრიგის აღსადგენათ გაგზავნეს მილიციის გაძლიერებული რაზმი. (ს. გ.)

### გაფიცვები რუმინიაში

საერთო გაფიცვის გამოცხადების საპასუხოთ რუმინეთის მთავრობამ გამოაცხადა საალყო წესები და ცენზურა შემოიღო. საზოგადოებრივმა აზრმა ეს ზომები მოიწონა. ბუქარესტში მშვიდობიანობაა. პროვინციაში გაფიცვები ვერ მოაწყვეს (ლ. ც.).

### სამხრეთ-სლავიის ჯარების მიერ საპლებისციტო ზონის დაცლა

სამხრეთ-სლავიის ჯარებმა დასტოვეს კლაგენფურტის საპლებისციტო ზონა. (ლ. ც.).

### პოლონეთის პრესა ზავის შესახებ

პოლონეთის პრესა სიხარულით აღნიშნავს სეიმის მიერ წინასწარი ზავის პირობების შეუცვლელათ დადასტურებას. სეიმთან არსებულმა საგარეო საქმეთა კომისიამ საბოლოოთ ზავის პირობების შესწავლა დაიწყო. მოსალოდნელია, რომ რიგაში საბოლოო ზავის შესაკვრელად მოლაპარაკება კვლავ განახლდეს ამ ცოტა ხანში (ლ. ც.).

### ბელგიის კაბინეტის გადადგომა

მინისტრთა სხდომაზე დელაკრუამ თავის ამხანაგებს აუწყა კოლექტიური წერილის ტექსტი გადადგომის შესახებ. ამ წერილს დელაკრუა გადასცემს მეფეს, როდესაც ის საფრანგეთიდან დაბრუნდება (ლ. ც.).

### როგორ ოცნებობენ რუსი ბურჟუები.

**ვარშავა.** შესდგა რუსთა პოლიტიკური კომიტეტი სავინკოვის მეთაურობით კომიტეტის პროგრამმაა: დემოკრატიულ რესპუბლიკანური წყობილება, ფართო რეფორმები, გლეხებისათვის მიწის მიცემა, და სხ. (ს. კ.)

### ერთა ლიგის საბჭოში.

სანამ პოლონეთ-ლიტვის საკითხის განხილვას შეუდგებოდნენ ერთა ლიგის საბჭომ მოისმინა ლიტვაში მყოფ ერთა ლიგის მისიის მეთაურ პოლ. შარდინიის მოხსენება.

### განა იხსნა კი?

„დეილი ტელეგრაფი“ აღნიშნავს, რომ ჯიოლიტის ფრთხილმა პოლიტიკამ იტალია სერიოზულ არეულობისაგან იხსნა.

### როგორი აზრისაა ბურჟუაზია წითელ არმიაზე.

**გელსინგფორსი.** გელსინგფორსის პრესაში დაიბეჭდა შემდეგი ამონაწერი გაზეთ „ნაციონალ ცეიტუნგიდან“: „საკვირველია, რომ წითელი არმია იმარჯვებს. ეს ჯარი ერთიანათ წარმოადგენს მათხოვართა ბრბოს. საშინელ მდგომარეობაშია მათი ჩაცმის და გამოკვების საქმე. აცვიათ ძონძები, იკვებებიან კი ხალხის ხარჯზე, რომლებზედაც იმარჯვებენ. (ს. გ.)

### მოკავშირეთა მთავრობა და ერთა ლიგა.

ბელგიის პრემიერ-მინისტრმა დელაკრუამ განაცხადა: ლოიდ ჯორჯს უნდოდა რომ დასწრებოდა ერთა ლიგის უკანასკნელ ორ სხდომას, საფრანგეთისა და ბელგიის მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეებთან ერთად. საფრანგეთის მთავრობას ამის შესახებ ჯერაც არ შეკითხებიან. „ტანი“ ამის შესახებ სწერს: მეტად საეჭვოა, რომ პასუხი დამაკმაყოფილებელი იქნეს. ორშაბათს დილით ერთა ლიგამ მოისმინა ლეო ბურჟუას მოხსენებები ბრიუსელში, ზღვეფთულ ფინანსიურ კონფერენციის შესახებ. საბჭომ გადასწყვიტა დაარსოს მუდმივი ბიურო.

შემდეგ მოხსენება გააკეთა იტალიის წარმომადგენელმა. მან ილაპარაკა მონოპოლიების შესახებ და საჭიროთ აღიარა, რომ მუდმივმა ბიურომ, რომლის დაარსებაც ახლა გადასწყდა, მონაპოლიის შესახებ იმსჯელოს.

### საფრანგეთის ბურჟუაზია გერმანიის შესახებ

გერმანიის მთავრობა ამ ჟამათ პრესაში ეწევა აგიტაციას იმ მიზნით, რომ აჩვენონ ხალხს, თითქო საფრანგეთი დღეს დიდ ძალი ნაშხირით, რომელსაც ვერ ერევა და რომ იგი კიდევ დიდძალ ნახშირს იმარაგებს, იმ დროს როდესაც გერმანიის მრეწველობა სათბობი მასალის უქონლობის გამო სულს ღაფავს. (ფ. ც.).

## პარტიული ცხოვრება.

### 3—4 რაიონის 1-ლი იაჩეიკის 22 ოქტომბრის სხომის ოქმი

იაჩეიკა აღფრთოვანებით ეგებება რუსულ გაზეთის „საქართველოს კომუნისტის“ გამოსვლას და იმედს გამოსთქვამს, რომ იგი შესაფერ სამსახურს გაუწევს საქართველოს პროლეტარიატს, მარად გზის მაშუქებელ მანათობელ ფარნად იქნება, რაც გააერთიანებს საქართველოს პროლეტარიატს და შემოკრებს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის გარშემო.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის მესვეურს ვ. ი. ლენინს.

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერნაციონალს.

წინ, გმირთა-გმირებო, საუკეთესო, კომუნისტურ იდეალებისაკენ.

---

**მისალმება რუსულ „საქართველოს კომუნისტს“**

მესამე რაიონის საბჭო სალამს უძღვნის რუსულ ენაზე გამოსულ „საქართველოს კომუნისტს“, რომლის გამოსვლას დიდი ხანია შეჰნატროდა. საბჭო უსურვებს გაზეთს წარმატებას და გაძლიერებას მუშათა კლასის მტრებთან ბრძოლაში.

რაიონის ყველა ამხანაგები გულწრფელათ აღუთქვამენ რუსულ ორგანოს, როგორც მათი ინტერესების გამომხატველს და დამცველს ნივთიერ და მორალურ დახმარებას.

---

**მეორე რაიონის მეთოთხმეტე იაჩეიკის ამხანაგები სიხარულით ეგებებიან** რუსულ ენაზე „საქართველოს კომუნისტის“ გამოცემის განახლებას, სალამს უძღვნიან მას და უსურვებენ, რომ იგი მარად ჟამს შეუპოვარი დამცველი ყოფილიყოს პროლეტარიატის და მტკიცე, ურყევი მორალური ბურჯი კომუნისტურ იდეების მიღწევისათვის ბრძოლაში, განაგრძოს მას, „საქართ. კომუნისტს“, შეუწყვეტელი და შეუფერხებელი არსებობა და ნაყოფიერი მოღვაწეობა ამ სასიკეთო და სასიქადულო ასპარეზზე.

---

**მეორე რაიონის მეთუთხმეტე იაჩეიკა** აღფრთოვანებული ესალმება რუსულ ენაზე მუშათა გაზეთის: „საქართველოს კომუნისტის“ გამოსვლას. უსურვებს მას საქართველოს მშრომელი კლასის სასარგებლოთ ნაყოფიერ მუშაობას, რაშიც ყოველგვარ მორალურ და ნივთიერ დახმარებას აღუთქვამს.

# მუშათა ცხოვრება.

## ჩვენში.

**მთავარი სახელოსნოები და თბილისის დეპო.**

აქ ისევ გვეწვია ბედი, რომელიც გვიქადის დღეს თუ ხვალ ქუჩაში გაძევებს. გავრცელდა ხმები მთელ სახელოსნოებში და დეპოში, დღეს თუ ხვალ მოხდება ისევ შტატის შემცირება და ისევ დარჩებიან—ბედკრული ხალხი ქუჩაში მშიერ-მწყურვალნი. ხალხი ჯგუფ-ჯგუფათ გროვდება დ ყველა იმას გაიძახის: აი უკულმა ბედის დატრიალება. ჯერ ვიყავით შეჩერებული, ვითომდა რკინის გზა მოგვიტანდა შეშას, ტანსაცმელს და სხვა ასეთს სანოვაგეს რომელიც აუცილებელი საჭიროებაა, მაგრამ დღეს კი გველის ქუჩაში გასვლა და სხვა. განა ეს დღეს შეიძლება? ნამდვილი მუშა განა უნდა იმას ტიროდეს სად ვიმუშაოო! განა მუშათა ხელი უნდა ეცემოდეს! განა მუშა, ის მუშა უნდა ელოდეს ქუჩაში გასვლას, რომელიც იყო დღემდე ავანგარდი რევოლიუციის?

ყველასათვის ცხადია თუ ვის უნდა ეწვიოს ეს ბედი. ასეთი ბედი ბევრ ჩვენს ამხანაგებს ეწვია, და დღესაც ელის მოთავე ამხანაგებს, რომელნიც, ასე თუ ისე, მაგრამ მაინც შერჩენ ამ სახელოსნოებში. რუსეთის ამბებს დავიწყებული ხშირათ იხსენიებენ მაგრამ ერთი, რამ იქ მუშებს, მუშები ქუჩაში არ გაუყრიათ და არც ასეთი ბედი წვევია იქაურ მუშებს. აქ ითვლება მუშათა ინტერესების დამცველათ პროფესიონალური კავშირი, რომელიც, პირიქით, თვით მუშა მოსამსახურეებს, ეწინააღმდეგება და ადმინისტრატიულ როლს თამაშობს, რაიცა მას არ შეეფერება; ამიტომ ის დროშა მის ხელში არ უნდა იყოს არამედ უნდა იყოს ნამდვილი მუშათა ორგანოს ხელში რომელიც არჩეული იქნება ნამდვილ მუშებისაგან მათივე ინტერესების დასაცავათ.

ნ. ც—ლი.

---

## საზღვარ-გარეთ.

**მსოფლიო ინდუსტრიალურ მუშათა კავშირი.**

(დასასრული იხ. № 77).

მე-10 ყრილობაზე 1914 წელში კავშირების ძირითადი იაჩეიკები კერძო წარმოების ორგანიზაციები უქვემდებარდება რაიონულ კოლექტივებს. წინეთ დარჩენილი დამოუკიდებელ ჯგუფებათ კერძო წარმოების მუშები, რომელნიც იმდენათ სუსტი იყვენ, რომ ვერ შექმნიდენ საწარმოვო იაჩეიკებს, უართდებიან ადგილობრივ ე. წ. „რეკრუტის იაჩეიკას“, რაიონულ კოლექტივის დაქვემდებარებით. აღმასრულებელი კომიტეტი ცხოვრების კარნახით იძენს მეტ უფლებებს. ეს თანდათანობითი გადასვლა ცენტრალიზმისკენ მოასწავებს ანარქისტების გავლენის შესუსტებას. მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ კავშირის ზრდა მიდის ჩქარი ნაბიჯით. ეხლა კავშირს 200000 მეტი წევრი ყავს. მაგრამ შემცდარი იქნება ის აზრი ვითომდაც კავშირის წევრების გამრავლების მიზეზია მისი იდეების მუშათა მასაში შესვლის. 1919 წელში „ამერიკანულ შრომის ფედერაციის წევრების რაოდენობა გაიზარდა 3,260,068 კაცამდე. ამის მიზეზი იყო ომი, რომლის მეოხებით მუშები უკიდურეს მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდენ, რამაც აიძულა ისინი მიკედლებოდენ ყველა კავშირებს. მუშები შედიან, როგორც „ფედერაციის კავშირში, ისე I. V. V. კავშირში და ბოლოს შედიან დამოუკიდებელ პროფესიონალურ კავშირის რიგში.

იმპერიალისტური ომის განმავლობაში კლასთა ბრძოლამ ამერიკაში მიიღო მწვავე ხასიათი. ბურჟუაზიამ ჩამოიშორა დემოკრატიზმის ცრუ ნიღაბი და დაუმორჩილებელ მუშების წინააღმდეგ გამოიტანა ტყვიის მფრქვეველები და ჯავშნოსნები. ბურჟუაზიის ტყვიები და მათრახები მოხვდათ „ინდუსტრიალურ მუშებსაც“, მაგრამ ამან ვერ შეაგნებია, რომ მარტო ეკონომიური გაფიცვებით მუშები ვერ მიაღწევენ თავის განთავისუფლებას, ვერ შეიგნეს, რომ პროლეტარიატს ესაჭიროება ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. მაგრამ შეგნების გზაზე ისინი დგებიან ნელ-ნელა.

კავშირს, I. V. V. ვერ გაუბედია: ერთი მხრით მისი რევოლიუციონური რეპუტაცია ავალებს მას მარცხნით წასვლას კომუნისტებთან; ძველი უნდობლობა პოლიტიკური ბრძოლისადმი, რომელიც გამაგრებულია ყვითელი სოციალისტების საძაგელი პარლამენტარული მუშაობით, მეორე მხრით აიძულებს ერთ ადგილზე ტრიალს და ხან მარცხნით და ხან მარჯვნით გადახრას. ასეთი მდგომარეობა კავშირის დიდხან არ გასტანს. ბოლოს მან უნდა იცნოს პროლეტარიატის დიქტატურის საჭიროება და დაადგეს აშკარათ პოლიტიკურ ბრძოლის გზაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაემსგავსება „ამერიკის შრომის ფედერაციას“ და შეიქნება მონა-მორჩილი კაპიტალიზმის.

მაგრამ ასეთი გამოსავალი შეუძლებელია, რადგანაც ამერიკის მუშების რევოლიუციონური სულის კვეთების გაღვიძება მიდის ჩქარი ნაბიჯით და თან მიყავს „შრომის ფედერაციის“ კავშირის წევრებიც. ინდუსტრიალური მუშები მთელი ქვეყნისა უნდა წავიდენ მარცხნით.

ალექსანდრე სტაკლიცკი.

# პროვინციის ცხოვრება.

**„სოციალისტური“ დელეგაცია ოზურგეთში**

27 სექტემბერს ესტუმრენ ოზურგეთს ის პირნი, რომელნიც, თუ დაუჯერებთ ძლიერთ ამა ქვეყნისას, დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი ქვეყნისთვის. ჰეშმარიტათ! ერთი სარგებლობა მართლაც მოიტანეს. ერთი წელია, რაც ოზურგეთ-ნატანების გზაზე გავლა არ შეეძლო არა თუ ეტლს და ავტომობილს, არამედ უბრალო ურემს. ტალახი, გატეხილი ხიდები—ასეთი იყო ეს, თუ შეიძლება მას უწოდოთ „გზა.“

ერთ რამეზე კი ზრუნავდენ ადგილობრივი მართველები და თვითმართველობანი.—ამ გზის შესაკეთებლათ გადასახადის აკრეფას. ეს, სიმართლე უნდა ითქვას, არ დავიწყებიათ. რა ვუყოთ, თუ ეს ფული შთანთქა იმ თავმოყრილმა მოხელეებმა, რომელნიც ასე ბევრია ადგილობრივ დაწესებულებებში. მაგრამ „დიდი ხვეწნის და მუდარის“ შემდეგ „სოციალისტურმა“ დელეგაციამ ინება თავის მოსვლით გურიის გულის „გაბედნიერება“. დატრიალდენ ყველა ჯურის „მამები“ გზის შესაკეთებლათ. ნუ გეუცხოვებათ თუ ნატურალური ბეგარის და ამოდენა ფულის აკრების შემდეგ, მორთეს, მოკაზმეს ოზურგეთი. (ჩვენი მენშევიკები ხომ მარტო გარეგნული მორთულობის, დეკორაციის ხალხია).

ორშაბათი! მზათ არის ყველაფერი მასწავლები მოწაფეებით, სპეკულიანტები, ვაჭრები, ბობოლა მოხელეები და ძმანი მათნი. ერთი სიტყვით აქ არის ყველა გარდა მშრომელი ხალხის, დაკოჟრებულ ხელიანი გლეხკაცობის. ამათოთ ათვალიერებთ, ეძებთ—არ არის! არის მცირე რიცხვი სოფლის დროიძეებისა. მოდიან, მოდიან, მოვიდენ. მოჰქრის ავტომობილები. ორივე ხელის თითები არ კმარა მათ დასათვლელათ.

დელეგაციას, როგორც ამბობენ, უნახავს ოზურგეთიდან სამი ვერსით დაშორებული ნატანების გზაზე, თათრებთან უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულნი ომის მსხვერპლნი.

მიტინგი. ლაპარაკობენ სტუმარ-მასპინძელნი; აქებ-ადიდებენ ერთმანეთს. მარკე ყველაზე მეტს გვპირდება. პირდაპირ აგვაშენა. მერე ვისი სახელით. რაღაც არ ეხერხება ხსენება საფრანგეთის პროლეტარიატისა. იცის, გრძნობს, რომ საფრანგეთის პროლეტარიატმა უკვე სამი წელია გარიყა მისი თანამოაზრეები, გამყიდველი მეთაურები და ეხლა თანდათან უახლოვდება, თავს იყრის იმ წითელ დროშის ქვეშ, რომელსაც მეთაურობს ფრანგი კომუნისტი ლორიო.

გათავდა. სტუმარ-მასპინძლები მიემართებიან კლუბში და იქ შეექცევიან არხეინად, მით უმეტეს, რომ კლუბში და იქ შეექცევიან არხეინად, მით უმეტეს, რომ კლუბის პატრონს სტუმართ მოყვარეობით დაუწერია კარებში vive international“.

საქართველოს მუშავ, საქ. გლეხო შენ ღვრი ოფლს, ღვრი დღე და ღამე, შრომობ მუდმივ, ქმნი უამრავ სიმდიდრეს და ამ შენ ნაოფლარს დაპატრონებიან სხვანი, ჯიჯგნიან და გულუხვად უმასპინძლდებიან თავის ქვეყნიდან გამორიყულ რენეგატებს. და ეს ხდება იმ დროს, როდესაც შენ თავს დაგტრიალებს სიმშილის აჩრდილი, როდესაც გცივა, გწყურია, გშია. მაშ გამოფხიზლდით მშრომელნო ხალხნო, იცანით მტერი, მოყვარე, იცანით თავისი მდგომარეობა და შემოკრბით იმ წითელი დროშის ქვეშ, რომელზედაც აწერია გაუმარჯოს მშრომელ ხალხს! გაუმარჯოს კომუნიზმს! გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს.

ვალეონორა.

---

ლ. ტროცკი.

# პარიზის კომუნა და საბჭოთა რუსეთი

**1. კომუნის სოციალისტური პარტიების მოუმზადებლობა**

(გაგრძელება იხ. „ახ. კომუნ.“ № 77).

უკვე აქედან ცხადია (შემდეგში ეს უფრო ნათელი იქნება), თუ რატომ არ აწარმოებდენ აშკარა ბრძოლას ძალაუფლებისათვის პარიზელი სოციალისტები; ეს აიხსნება მათი თეორეტიული გამოურკვევლობით დ პოლიტიკური დაბნეულებით და არა ვითომცდა, უფრო მაღალი ტაქტიკური მოსაზრებებით. შეიძლება ეჭვი არ შეგვეიდეს იმაში, რომ კაუცკის მიერ სწორათ დაცვა კომუნის ტრადიციებისა გამოიხატება უმთავრესად არაჩვეულებრივ განცვიფრებაში, რომლითაც ის შეხვდება პროლეტარულ რევოლიუციას გერმანიაში, როგორც მისთვის ძალიან არა სასურველ კონფლიქტს. მაგრამ ჩვენ ვეჭვობთ, რომ ეს მას ახალმა თაობამ სამსახურში ჩაუწეროს, შინაარსით კი თანახმათ მისი ისტორიული ანალოგიისა, ის წარმოადგენს დაბნეულობის, აზრების უილაჯობის და გაიძვერაობის ხუხულას.

ის განზრახვები კი, რომლებიც ქონდა პარიზის მიმართ ტიერს'—პეტერბურგის მიმართ ჰქონდა მილიუკოვს, რომელსაც აშკარად უჭერდა მხარს წერეთელი და ჩერნოვი. ყველა ისინი—კორნილოვიდან პოტრესოვამდის—დღითი-დღე ამტკიცებდენ, რომ პეტერბურგი მოსწყდა მთელ ქვეყანას, არა აქვს მასთან არაფერი საერთო, რომ ის გაირყვნა საბოლოოდ და მიისწრაფვის იქით, რომ თავისი ნება მოახვიოს ამ მთელ დანარჩენ ქვეყანას. პეტერბურგის ძირს ჩამოგდება და დამცირება იყო პირველი ამოცანა მილიუკოვისა და მისი თანაშემწეთა. და ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც პეტერბურგი წარმოადგენდა ნამდვილ შუაგულს რევოლიუციისას, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მოესწრო გამაგრება ქვეყნის დანარჩენ ნაწილებში.

სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი თავმჯდომარე როძიანკო აშკარად ამბობდა, რომ პეტერბურგი საჭიროა გადაეცეს „ჰკუის სასწავლებლად“ გერმანელებს, ისე, როგორადაც გადასცეს მათ რიგა. ამით როძიანკო მხოლოდ თავის სახელს უწოდებდა მას, რაც მილიუკოვის ამოცანას შეადგენდა და რასაც მთელი თავისი პოლიტიკით ხელს უწყობდა კერენსკი.

მილიუკოვს, ისევე როგორც ტიერს, ჰსურდა იარაღი აეყარა პროლეტარიატისთვის. კიდევ მეტი: კერენსკის, ჩერნოვს და წერეთლის საშუალებით პეტერბურგის პროლეტარიატი საგრძნობათ იქმნა განიარაღებული ივლისში 1917 წ. ნაწილობრივ ის კიდევ შეიარაღდა აგვისტოში კორნილოვის შეტევის დროს პეტერბურგზე. და ეს ახალი შეიარაღება იყო სერიოზული ელემენტი ნოემბრის (ოქტომბრის) აჯანყების მომზადებაში. ამრიგად ის პუნქტები, სადაც კაუცკი უპირდაპირებს ჩვენი ნოემბრის რევოლიუციას პარიზელი მუშების მარტის ამბოხებას შესამჩნევად ეთანაბრებიან.

მაგრამ რაშია მათ შორის განსხვავება? უწინარეს ყოვლისა იმაში, რომ ტიერის საზიზღარი აზრები გამართლდენ: პარიზი სისხლში იქნა ჩამხრჩვალი. მუშები კი ათი ათასობით ამოწყვეტილი.

მილიუკოვს კი კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. პეტერბურგი დარჩა პროლეტარიატის მიუვალ ციხეთ; ბურჟუაზიის ლიდერი კი უკრაინაში მოგზაურობს, რომ უმორჩილესი თხოვნით მიჰმართოს კაიზერს, რათა მისმა ჯარებმა მთელი რუსეთი დაიპყრას. ასეთ განსხვავებაში ჩვენ დიახაც, რომ გვიძევს საკმაოდ შესამჩნევი წილი დანაშაულისა და ჩვენ მზათა ვართ პასუხისმგებლობა ვიკისროთ ამის გამო. კაპიტალური გარჩევა მდგომარეობდა აგრეთვე იმაში, — და ამას არა ერთხელ უჩენია თივი მომხდარ ამბების შემდგომი განვითარებაში რომ, იმ დროს, როდესაც კომუნარები თავისი მოქმედებებში გამოდიოდენ უმთავრესათ პატრიოტული მოსაზრებებით, ჩვენ შეურყევლად ვხელმძღვანელობდით საერთაშორისო რევოლიუციის თვალთახედვით. კომუნის განადგურებამ მიაგვცა 1-ლი ინტერნაციონალის ფაქტიური დანგრევა, საბჭოთა ძალა-უფლების გამარჯვებამ კი მკვიდრი ნიადაგი ჩაუყარა მესამე ინტერნაციონალს.

მაგრამ მარქსი—გადატრიალების წინა დღეებში—კომუნარებს ურჩევდა არა ამბოხებას, არამედ ორგანიზაციების შექმნას. რაიმეს გაგება კიდევ შეიძლებოდა, რომ კაუცკის, ეს მოწმობა მოყავდეს იმის დასამტკიცებლად, რომ კაუცკის, ეს მოწმობა მოყავდეს იმის დასამტკიცებლად, რომ მარქსი არა საკმარისად აფასებდა პარიზის მაშინდელ მწვავე მდგომარეობას. მაგრამ კაუცკი ექსპლოატაციას უწევს მარქსის ამ რჩევას, როდესაც ცდილობს გამოიყენოს ის საერთოდ მუშათა აჯანყებების წინააღმდეგ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ყველა მანდარინების მსგავსად, კაუცკი ორგანიზაციაში პირველად ყოვლისა ხედავს რევოლიუციონური მოქმედებების ხელშემშლელ საშუალებას.

მაგრამ, რომ შევჩერდეთ ორგანიზაციის, როგორც ასეთის, საკითხზე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნოემბრის რევოლიუციას წინ უძღოდა კერენსკის მთავრობის 9 თვის არსებობა, რომლის განმავლობაში ჩვენი პარტია, კარგი შედეგებითაც, ეწეოდა არა მარტო აგიტაციას, არამედ ორგანიზაციულადაც კავშირდებოდა.

ნოემბრის გადატრიალება მოხდა მას შემდეგ, რაც ჩვენ დავიპყრეთ დიდი უმრავლესობა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებში პეტერბურგის, მოსკოვის და საერთოდ რუსეთის ყველა საწარმოვო ცენტრების და გადავაქციეთ ისინი უძლიერეს ორგანიზაციებათ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით. არაფერი ამის მსგავსი არ ქონიათ კომუნარებს. დაბოლოს, ყოველივე ამის გარდა, ჩვენ ზურგს უკან იყო პარიზის გმირული კომუნა, რომლის დამარცხებიდან ჩვენ გამოვიტანეთ ის დასკვნა, რომ რევოლიუციონერები უნდა ითვალისწინებდენ ყოველივე მოსალოდნელს და მზად იყვნენ მათ შესახვედრათ.

ესაა ჩვენი დანაშაული.

(შემდეგი იქნება).

# ჩვენი ფოსტა

**გამვლელს.** არ დაიბეჭდება. გამოგზავნეთ კორესპონდენციები.

---

დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი.

# განცხადებანი

გამომცემლობა

## „წითელი ვარსკვლავი“

**გამოსულია.**

1. ვინ არიან კომუნისტები (ბოლშევიკები). ფ. 3 მ.
2. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ინტერნაციონალი მომაკვდავი და ინტერნაციონალი ამომავალი. ფ. 5 მ.
3. მ. კასპიელი. ვინ სტყუის? ფ. 10 მ.
4. ნ. ლენინი. ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. ფ. 5 მ.
5. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ომი და სოციალიზმის კრიზისი. ფ. 20 მ.
6. მ. კასპიელი. ინტერნაციონალი და ომის საკითხი. ფ. 15 მ.

**იბეჭდება:**

7. პროგრამა რუს. კომ. პარტიისა.

**გამზადილია დასაბეჭდათ:**

8. ბუხარინი და პრეობრაჟენსკი. კომუნიზმის ანბანი.
9. ბუხარინი. პროლეტ. დიქტატურა რუსეთში და მსოფლიო რევოლიუცია.
10. ზინოვიევი. პარტია და პროფესიონალური კავშირები.
11. მინინი. რელიგია და კომუნიზმი.
12. პეტროვიჩი. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
13. ნ. გექტორი. რით აიხსნება რუსეთში სოციალისტ. რევოლიუციის ადვილად გამარჯვება.
14. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნ. ცენტ. კომიტეტის მიმართვა კავშირისადმი 1850 წ.
15. კ. მარქსი. სამოქალაქო ომი საფრანგეთში 1870—71 წ.

---

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 8—91.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

---

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91.

ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე.

---

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 135.

ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე.

---

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ბიურო ღიაა დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

---

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 ნახ. საათამდე და საღამოს 5—7 ნახ. საათ.

---

ს. კ. პ. თბილისის მეოთხე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.

სტამბა „ეკონომია“ დიდი ვანქის ქ. № 3.